პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 იანვარი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 15 (9676) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათია ჯანჯღავა „კადეტთა“ შორის უძლიერესი

უკრაინის ქალაქ ივანო-ფრანკოვსკსა და ჩერნოგოვის ოლქის ქალაქ პრილუკში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა 18 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის.

ძალზე საინტერესო გამოდგა ჭაბუკთა შეჯიბრება **ივანო-ფრანკოვსკში,** სადაც ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდნენ ოსტატობის კანდიდატები რომან სიჟინავა (მწვრთნელი გოჩა ტყეებუჩავა), გია გოგოლაძე (მწვრთნელი ამირან ბერძენიშვილი), აკაკი იაშვილი (მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი) და შოთა კუპუხიძე (მწვრთნელი ალექსანდრე რაზოვსკი).



ნათია ჯანჯღავა.

ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად ჩატარდა, მასში სულ 54 ჭაბუკი მონაწილეობდა.

7,5-8,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს ოსტატებმა მიხეილ ულობინმა (სვერდლოვსკი) და გატა კამსკამ (ლენინგრადი). უკეთესი კოეფიციენტის გამო ჩემპიონობა მიხეილ ულობინს მიეკუთვნა.

8 ქულით III ადგილზე გავიდა: რიგელი ოსტატი ალექსანდრე შიროვი.

ჩვენი მოჭადრაკეებიდან წარმატებით ითამაშა რომან სიჟინავამ, რომელმაც 7 ქულა დააგროვა, ჭაბუკთა შორის V-X ადგილები გაიყო, ხოლო „კადეტთა“ შორის — IV-VIII. უკეთესი კოეფიციენტით მას VI ადგილი ხვდა წილად და უფლება მიეცა მონაწილეობა მიიღოს „კადეტთა“ შორის მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში, რომელიც აპრილში ბორჯომში ჩატარდება.

გია გოგოლაძემ და აკაკი იაშვილმა 6-6 ქულით XVIII-XIX ადგილები გაინაწილეს. „კადეტებში“ იაშვილმა X-XI ადგილები გაიყო.

შოთა კუპუხიძემ 5,5 ქულა დააგროვა და XXVII-XXXII ადგილები გაიყო, „კადეტთა“ შორის კი XIV ადგილი დაიკავა.

პრილუკში, სადაც გოგონები ასპარეზობდნენ, 9,5 ქულით ჩემპიონის სახელი მოიპოვა ლიტველმა ლაიმა დომარკაიტემ. საკმაოდ კარგად ითამაშეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა **ნათია ჯანჯღავამ** (მწვრთნელი ალექსანდრე იზვოზჩიკოვი) და თეა ლანჩავამ (მწვრთნელი ზეზვა თანდაშვილი). ჩემპიონატი შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად ჩატარდა, მასში 46 მოჭადრაკე მონაწილეობდა. **ჯანჯღავამ 8,5 ქულით II ადგილი, ხოლო „კადეტთა“ შორის I ადგილი დაიკავა.** თეა ლანჩავამ 8 ქულით III ადგილი, ხოლო „კადეტებში“ II ადგილი აიღო.

ნათია ჯანჯღავასა და თეა ლანჩავას უფლება მიეცათ მონაწილეობა მიიღონ გოგონათა შორის მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში, რომელიც 5 აპრილს ბაქოში დაიწყება.

შეჯიბრებაში კიდევ სამი ქართველი გოგონა მონაწილეობდა — სოფიკო ნიკოლაძე, სოფიკო ტერეულაძე და ნინო ხურციძე. მათ შორის ყველაზე უკეთ ითამაშა სოფიკო ნიკოლაძემ, 6 ქულით მან XVII ადგილი დაიკავა.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში

სამს ვითვლით, ერთს ვიმახსოვრებთ

ბუშინ სპორტის სასახლეში დაიწყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. სადებიუტო შეხვედრების სიძნელე ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ვიდრე მათ შესახებ ვისაუბრებდეთ, ჯერ სტატისტიკურ მონაცემებს მოგაწვდით, რომელიც ჩემპიონატის თავისებური სარკეა და გულშემატკივრებს ბევრ რამეზე უხელს თვალს. თბილისს 14 მოკავშირე რესპუბლიკის (თურქმენეთის გარდა), მოსკოვისა და ლენინგრადის 187 მოჭიდავე ეწვია. ყველა მათგანმა ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება სხვადასხვა ტურნირში გამარჯვებით მოიპოვა და ამიტომ, გარკვეული წარმოდგენა რომ გვქონდეს კლასიკური ჭიდაობის განვითარების სტრუქტურაზე, ჩამოვთვლით, ვინ რამდენი სპორტსმენით არის წარმოდგენილი. რსფსრ — 60 მოჭიდავე, მოსკოვი — 18, ლენინგრადი — 5, უკრაინა — 22, ბელორუსია — 18, უზბეკეთი — 6, ყაზახეთი — 9, ლიტვა — 2, აზერბაიჯანი — 9, მოლდავეთი — 7, ლატვია — 1, ყირგიზეთი — 3, ტაჯიკეთი — 3, სომხეთი — 11, ესტონეთი — 3, საქართველო — 12. ამ 187 მოჭიდავიდან 8 სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებას ატარებს, 51 — საერთაშორისო კლასისას. 18 წელზე ახალგაზრდა 7 სპორტსმენია, 30 წელზე უფროსი მხოლოდ ორი. ყველაზე მეტი მოჭიდავე გამოდის 57 კგ წონით კატეგორიაში — 22, ყველაზე ცოტა 48 კილოგრამში —15. შეჯიბრების მთავარი მსაჯი უმაღლესი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი სტეპან კაზარიანი (ერევანი).

იმისათვის, რომ ფავორიტების გზები დროზე ადრე არ გადაკვეთილიყო, მოეწყო მათი განთესვა. მსაჯებმა მხედველობაში მიიღეს გასული წლის საკავშირო ჩემპიონატის შედეგები. პრივილეგირებულთა შორის მოხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის ფალავნები: გურამ გედეხაური, თენგიზ თედორაძე, ზაურ ივანაშვილი და ვასილ ქარსელაძე.

როდესაც სადებიუტო სირთულეები ვახსენეთ, საერთოდ მიღებული აზრის გარდა, საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის მიხეილ სალაძის სიტყვებსაც ვეყრდნობოდით. მართლაც პირველი ორი ბრძოლა ჩვენთვის ნაკლებად სასიხარულო შედეგით დამთავრ-

იხ. მე-3 გვ.





სურათებზე: თბილისის სპორტის სასახლის სარბიელი; ქვევით — თენგიზ თედორაძემ ეს ილეთიც ბრწყინვალედ ჩაატარა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

საერთაშორისო კროსი აჭარაში

ახალი, 1988 წლის სპორტული სეზონი ბევრი მნიშვნელოვანი და საინტერესო ღონისძიებებით აღინიშნება. 7 თებერვალს ბათუმში, კერძოდ, ანგისის სტადიონზე გაიმართება საერთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნურ კროსში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 210 საბჭოთა და 90 უცხოელი სტაიერი.

ასეთი მასშტაბის ასპარეზობა პირველად ეწყობა აჭარაში. მისი მაღალ დონეზე ჩატარებისათვის აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის პირველ სხდომაზე განიხილეს სპორტსმენების მიღებისა და დაბინავების, სპორტული ბაზის სათანადოდ მომზადების, მონაწილეებისათვის კულტურული და საექსკურსიო პროგრამის შემუშავების საკითხები.

ინფორმაციებით გამოვიდნენ აჭარის სპორტსახკომის თავმჯდომარე თ. ბოლქვაძე, აჭარის ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ჯ. ბარამიძე, აჭარის კავშირგაბმულობის საწარმოოტექნიკური სამმართველოს უფროსი დ. ბერაძე, აჭარის კულტურის მინისტრის მოადგილე გ. ღლონტი, ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. გურგენიძე, პროფკავშირების ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ა. მეგრელიძე, აჭარის პროფსაბჭოს მდივანი დ. მექვაბიშვილი, აჭარის ავტოსანტრანსპორტო საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი ნ. გოორგაძე.

სხდომის შედეგები შეაჯამა შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. გუგუნავამ.

ლევან ქავჭარაძე.

ჭადრაკში მსოფლიო პირველობისთვის პრეტენდენტ ქალთა ტურნირის მონაწილენი

ელენა ახმილოვსკაია

ელენა ახმილოვსკაია წლების განმავლობაში რუსეთის ფედერაციის № 1 მოჭადრაკე იყო. კრასნოიარსკელმა გოგონამ ძალიან კარგი სკოლა გაიარა მსოფლიოს ექსჩემპიონის მიხეილ პოტვინიკის ხელმძღვანელობით. თუ ამას დავუმატებთ უდავო საჭადრაკო ნიჭსა და მართლაც იშვიათ შეუპოვრობას, ცხადი გახდება, რატომ დაწინაურდა ახმილოვსკაია მსოფლიოს დიდოსტატთა რიგებში.

ახმილოვსკაია (დაიბადა 1957 წლის 11 მარტს) სისტემატურად მონაწილეობს საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში და, როგორც წესი, ყველა ამ შეჯიბრებაში ერთ-ერთ საპრიზო ადგილს იკავებს. პირველს? საკმაოდ იშვიათად, თუმცა ახმილოვსკაიას პრაქტიკაში ასეთი მაგალითებიც გუხვდება.

მსოფლიო პირველობის საზონთაშორისო ტურნირში ახმილოვსკაიამ პირველად 1976 წელს მიიღო მონაწილეობა და ყველასთვის მოულოდნელად I ადგილზე გავიდა. ეს ჰოლანდიის ქალაქ როსენდადში მოხდა. ასე გახდა 19 წლის კრასნოიარსკელი მოჭადრაკე მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი. მომდევნო მატჩებში ელენამ მოუგო ტატიანა ლემაჩკოს და ნახევარფინალში მაია ჩიბურდანიძესთან დამარცხდა. 1979 წელს ალიკანტეს (ესპანეთი) საზონთაშორისო ტურნირში ახალგაზრდა დიდოსტატმა კიდევ ერთ შთამბეჭდავ გამარჯვებას მიაღწია: I-II ადგილები გაიყო და ისევ მოიპოვა პრეტენდენტთა მატჩებში გამოსვლის უფლება. ამჯერად მას გზა ნანა ალექსანდრიამ გადაუღობა — 5,5:3,5. ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა ქართველმა მოჭადრაკემ.

1983 წლიდან ახმილოვსკაია საქართველოში ცხოვრობს, ჯერ ბიჭვინთაში, ამჟამად კი თბილისში. ყველაზე დიდ წარმატებას მან 1986 წელს მალმეს (შვეიცია) პრეტენდენტთა ტურნირში მიაღწია (I ადგილი), რაც მისი სპორტული გზის მწვერვალი იყო. ამავე წლის შემოდგომაზე სოფიასა და ბორჯომში პრეტენდენტი მსოფლიო ჩემპიონ ჰაია ჩიბურდანიძეს შეხვდა. ჩემპიონმა გაიმარჯვა ანგარიშით 8,5:5,5.

მთელი შარშანდელი სეზონის განმავლობაში ახმილოვსკაია ბევრს თამაშობდა. იანვარში მან მონა-

იხ. მე-4 გვ.

შეხვედრა საინტერესო იყო

ახალციხელმა მშრომელებმა და სპორტის მოყვარულებმა ქალაქის სამუსიკო სკოლის საქტო დარბაზში გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს მსოფლიო რეკორდსმენსა და სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს სამხტომში ვიქტორ სანეევს და საერთაშორისო დიდოსტატს ჭადრაკში, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ედუარდ გუფელდს.

სტუმრებს რაიონის მშრომელთა სახელით მიესალმა პარტიის ახალციხის რაიკომის მეორე მდივანი ლიანა ხმალაძე. შემდეგ სიტყვა მიეცათ სტუმრებს. დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია ე. გუფელდის ნაამბობმა კასპაროვ-კარპოვის მატჩის შესახებ. მანვე უპასუხა მრავალ შეკითხვას, დასასრულ კი აღნიშნა, რომ საჭიროა ახალციხეში აღდგეს საჭადრაკო კლუბი. ძალზე საინტერესო იყო ვ. სანეევის გამოსვლაც. მან გაიხსენა ეპიზოდები ოლიმპიადების ისტორიიდან, პირადი სპორტული ცხოვრებიდან, ილაპარაკა მსოფლიოს გამოჩენილ მძლეოსნებზე, უპასუხა შეკითხვებზე.

შეხვედრის დასასრულს სტუმრების პატივსაცემად გაიმართა კონცერტი, მოეწყო ერთდროული თამაშის სეანსი 15 დაფაზე.

ვილიამ დათეხაშვილი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ჭადრაკში.

ᲥᲐᲛᲘ ᲨᲘᲥᲠᲘᲡᲐ, ᲥᲐᲛᲘ ᲒᲐᲜᲡᲯᲘᲡᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲓᲐ... ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ?

▲ **ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚ ᲣᲙᲣᲒᲔᲑᲐᲡ ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲨᲘ ᲒᲐᲬᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲠᲯᲔᲑᲘ?**

▲ **ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲠᲣᲙᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲥᲠᲐ**

▲ **ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲓᲐᲮᲕᲔᲬᲐᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ**

▲ **ᲕᲘᲜ ᲐᲒᲔᲑᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲔᲜᲔᲑᲔᲚ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ?**

▲ **ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲗᲕᲚᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲘᲚᲔᲑᲡ**

ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ სპორტული სეზონის უდიდესი მოვლენა, ბუნებრივია, სეულის ოლიმპიური თამაშები იქნება. სიმბოლურია, რომ წლეულსვე გაიმართება ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა II სპორტული თამაშებიც, სადაც სწორედ მომდევნო ოლიმპიადის მონაწილენიც უნდა ვეძიოთ.

ჭაბუკთა თამაშებისთვის გუნდების დასაკომპლექტებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შარშან გამართულ ჭაბუკებისა და გოგონების საქართველოს პირველობებს, რომელთა შედეგები ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშების ჩათვლაში შედიოდა. ჩათვლაში შევიდა აგრეთვე „სიჭაბუკის“ თასზე ჩატარებული ფეხბურთელთა ასპარეზობის შედეგებიც.



ამბობენ, სპორტის უპირველესი პროპაგანდისტი კარგად გამართული შეჯიბრებაო. უნდა ითქვას, რომ ჭაბუკთა II რესპუბლიკურმა თამაშებმა ამ მხრივაც თავისი მისია შეასრულა. ასპარეზობები მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდა. შეჯიბრებათა, თუ შეიძლება ასე ითქვას, გეოგრაფიაც საკმაოდ ფართო აღმოჩნდა. ასპარეზობებს თბილისმა, ბათუმმა, სოხუმმა, ცხინვალმა, ქუთაისმა, რუსთავმა, ფოთმა, თელავმა, გორმა, ტყიბულმა, ხაშურმა, ზუგდიდმა, მახარაძემ, სიღნაღმა და ხობმა უმასპინძლა.

ცალკეული ასპარეზობების შესახებ ჩვენ თავის დროზე ვიუწყებოდით, ამიტომ მათზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით და მხოლოდ საერთო შთაბეჭდილებებზე ვისაუბრებთ.

ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშების მონაწილე გუნდები, სიძლიერის მიხედვით, სამ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. მათ სპორტის 36 სახეობის 40 გუნდურ პირველობაში სცადეს ძალა.

I ჯგუფში, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისელებმა გაიმარჯვეს (15981,5 ქულა). მათ ცალკეულ სახეობებში და გუნდურ პირველობებში 40 პირველი, 1 მეორე და 5 მესამე ადგილი დაიკავეს. საერთო კომპლექსურ ჩათვლაში მეორე ადგილზე გავიდნენ ქუთაისელები (7616,5) — 4 პირველი, 13 მეორე და 8 მესამე ადგილი. კომპლექსურ ჩათვლაში მესამე პრიზიორმა აფხაზეთის ნაკრებმა (7440) 1 პირველი, 12 მეორე და 8 მესამე ადგილი დაიკავა.

II ჯგუფში ყველას ფოთელებმა აჯობეს (2151). მათ 1 პირველი და 2 მესამე ადგილი ხვდათ წილად. მეორე იყო წყალტუბოს (1062) ნაკრები — 2 მეორე ადგილი. მესამე პრიზიორია გორელთა გუნდი (907,5), რომელმაც მხოლოდ ერთი მეორე ადგილი დაიკავა.

III ჯგუფში მოასპარეზეთაგან, კომპლექსურ ჩათვლაში სამეულში მოხვედრილმა გუნდებმა ვერც ერთი საპრიზო ადგილი ვერ დაიკავეს. აქ ადგილები ასე განაწილდა: 1. მცხეთა (982), 2. სამტრედია (572), 3. საგარეჯო (514).

ცალკეულ სახეობებში დანარჩენი საპრიზო ადგილები გუნდურ პირველობებში დაიკავეს ლანჩხუთის (ორი III ადგილი), მახარაძის, თელავის, გეგეჭკორის, ზუგდიდის (თითო II ადგილი), საჩხერისა და ხაშურის (თითო I ადგილი) რაიონებმა, აგრეთვე ქალაქ ზუგდიდის გუნდმა (თითო 1-II ადგილი).

როგორც ხედავთ, შეჯიბრებაში მონაწილე 50 გუნდიდან საპრიზო ადგილებზე მოხვედრა მხოლოდ 14-მა შეძლო. ცალკეული სახეობების მიხედვით 6 უძლიერეს გუნდს შორის იმ 50-დან მხოლოდ 35-მა დაიმკვიდრა ადგილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ 35 ნაკრების წევრთა საერთო შთაბეჭდილებაც უფერული იყო, ნათელი გახდება, რომ **დანარჩენები, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით ასპარეზობდნენ.** სხვა რით უნდა აიხსნას ის, რომ **ადიგენის, ასპინძის, ბოგდანოვკის, დმანისის, თიანეთის, ცაგერის და ყაზბეგის წარმომადგენლებმა 1 ქულაც ვერ „მოაგროვეს“.** მარნეულელთა ოცდაორმა წარმომადგენელმა კი აქტიში... 3 ქულის ჩაწერა შეძლო.

მკითხველის ყურადღება განსაკუთრებით გვინდა გავამახვილოთ **ყაზბეგის რაიონზე, რომელმაც ჭაბუკთა II რესპუბლიკურ თამაშებზე გამოსვლას თავი აარიდა.** თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ თამაშების ჩათვლაში გოგონათა და ჭაბუკთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში ნაჩვენები შედეგები შედიოდა, ნათელი გახდება, რომ **ყაზბეგელები საქართველოს სპორტული რუკიდან საერთოდ გამქრალან.**

ყოველივე ამას რომ ვამბობთ, გვახსენდება არაერთი კრიტიკული წერილი, რომელიც ამ რაიონის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შესახებ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა, მაგრამ რა მოჰყვა „ლელოს“ იმ პუბლიკაციებს? ახლა ირკვევა, რომ დაპირებების გარდა არაფერი. ყაზბეგელები მხოლოდ სპორტკომიტეტის თავმჯდომარეების განთავისუფლებით კმაყოფილდებიან, ის კი ავიწყდებათ, რომ თავმჯდომარეებს დახმარება და მხარში ამოდგომა ჭირდებათ.

იქნებ ახლა ყაზბეგელებმა თავი იმართლონ, რომ შარშან ჩვენს რაიონში დიდთოვლობა იყო და შეჯიბრებებზე ჩამოსვლა ვერ შეძელითო.

თავის გასამართლებლად ეს მართლაც ფრიად სერიოზული არგუმენტი იქნება, მაგრამ თოვლი ხომ მთელი წლის განმავლობაში არ იდო. ეგეც რომ არ იყოს, დიდთოვლობამ და სტიქიის სხვა შემოტევამ მესტიისა და ლენტეხის რაიონები უფრო დაჩაგრა, მაგრამ სვანეთის წარმომადგენლები შეჯიბრებაში მაინც გამოვიდნენ.

როცა გუნდების გამოსვლას ვაფასებთ, მკითხველის ყურადღება კიდევ ერთ გარემოებაზე გვინდა გავამახვილოთ. ფოთისა და სამხრეთ ოსეთის გუნდების გამოსვლები ერთი ციდა ჭინჭრაქასა და გოლიათი დევის ჭიდილს გვაგონებს.

როგორც მკითხველისთვის უკვე ცნობილია, ფოთის გუნდი II ჯგუფში ასპარეზობდა და გაიმარჯვა,



სამხრეთ ოსეთის ნაკრები კი I ჯგუფში იყო და ბოლო, VI ადგილი დაიკავა. ყოველივე ამაში ერთი შეხედვით თითქოს საინტერესო არაფერია, მაგრამ, აი, თუ ამ ორი გუნდის მიერ დაგროვილ ქულებს გადავხედავთ, მაშინ... მაშინ აღმოჩნდება, **რომ ფოთელებს სამხრეთ ოსეთის გუნდი მთელი 775 ქულით ჩამოუტოვებიათ, და... უფრო მეტი ქულა დაუმსახურებია, ვიდრე III ჯგუფიდან რესპუბლიკის 20 რაიონს ერთად აღებული. საერთოდ თბილისმა მთლიანობაში III ჯგუფის 51 რაიონს აჯობა** და სამჯერ მეტი ქულა მოაგროვა, ვიდრე II ჯგუფის ყველა ქალაქმა ერთად. განა ეს დამაფიქრებელი არ არის?

რაკი მკითხველის ყურადღება ასეთ შედარებაზეც მივაქციეთ, კიდევ ერთ კურიოზს გავიხსენებთ.

ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ქალაქ გორისა და მცხეთის რაიონის შესაძლებლობები სპორტში დიდად განსხვავდება. ამიტომ გორის გუნდი II ჯგუფში ასპარეზობდა, ხოლო მცხეთელები III ჯგუფში გამოდიოდნენ. აი, მცხეთელებიც რომ II ჯგუფში ყოფილიყვნენ, იქ III ადგილს გორელები კი არა, მცხეთელები დაიკავებდნენ.

• • •

ჭაბუკთა II რესპუბლიკურ თამაშებზე სპორტის ოსტატის შედეგი 38-ჯერ აღინიშნა, ოსტატობის კანდიდატისა — 12-ჯერ, I თანრიგისა— 309-ჯერ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე უკეთ წყალში მბტომელებმა იასპარეზეს. მათ 18 შესაძლებლიდან 9-ჯერ სპორტის ოსტატის შედეგი აჩვენეს. ასეთი მიღწევებით თავის ყველაზე მეტად გამოჩენის საშუალება მოცურაველებს ჰქონდათ. ჭაბუკთა თამაშების მონაწილე მოცურავეთა ასაკი ხომ სწორედ ის ასაკია, „ოქრო ცხოვრობს“. თუ რეგიონად გავიხსენებ, — ოსტატის შედეგის ჩვენება დიდად არ უნდა უკვირდეს? ამასთან, მოცურავეთა ასპარეზობის ჟროგრამა, მძლეოსანთა შეჯიბრებასთან ერთად, ყველაზე ვრცელია. ასე რომ, მოცურავეებს 70-ზე მეტჯერ ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ სპორტის ოსტატის შედეგი ეჩვენებინათ, მაგრამ მათ ეს მხოლოდ 4-ჯერ შეძლეს. აქედან ორი ასეთი შედეგი ერთი სპორტსმენის ანგარიშზე მოდის. ის ორი ოსტატის შედეგი კი ორმა სპორტსმენმა პირველად აჩვენა.

მართალია, ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებზე მოცურავეთა შეჯიბრების ჩათვლაში ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი და უკეთესი მაჩვენებელი შედის, მაგრამ, ამასთან, თექვსმეტ უძლიერესს შორის მოხვედრაც საჭიროა. აი, ეს კი ჩვენს მოცურავეთა დიდი უმრავლესობისთვის ძალზე პრობლემური იქნება. დამაიმედებელი შედეგები არც მძლეოსნებს უჩვენებიათ.

მძლეოსანთა და მოცურავეთა შედეგებზე ყურადღება შემთხვევით არ შეგვიჩერება. კომპლექსურ შეჯიბრებებში მძლეოსანთა და მოცურავეთა მაჩვენებლები ხომ ყველაზე დიდ გავლენას ახდენენ ადგილების საბოლოო განაწილებაზე — სპორტის ამ სახეობების წარმომადგენლებს ქულათა ორმაგი და სამმაგი რაოდენობა მოაქვთ.

სამწუხაროდ, რესპუბლიკური თამაშებიდან საკავშირო თამაშებამდე ერთწლიან პერიოდში წარმოუდგენელი, ან თითქმის წარმოუდგენელია, რომ მოცურავეებმა და მძლეოსნებმა რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგან წინ. ასე რომ, სპორტის ამ სახეობებში, გუნდურ პირველობებში, სათუო იქნება მნიშვნელოვან პროგრესზე ფიქრი. თუმცა, იმედი გვინდა დავიტოვოთ, რომ მოცურავეებიც და მძლეოსნებიც, სხვებიც ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებისთვის დარჩენილ დროს მაქსიმალურად გამოიყენებენ.

იმის შესახებ, თუ ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებისთვის როგორ ემზადებიან საქართველოს გუნდები, რა პრობლემები აწუხებთ მათ და რა მიზნებს ისახავენ ფინალურ ბრძოლებში, საუბარი სხვა პუბლიკაციებში გვექნება.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲐᲓᲐ

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ სპორტულ ბაზებზე ორ თვეს გრძელდებოდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების პირველი საქალაქო უნივერსიადა, რომელიც პროფკავშირების სპორტული საზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭოს ინიციატივით ჩატარდა.

სტუდენტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სპორტის 14 სახეობაში — კალათბურთში, ფრენბურთში, ველოსპორტში, ჭადრაკში, ფეხბურთში, მშდ მრავალჭიდში, მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, ტყვიის სროლაში, ხელბურთში, ლელობურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში.

ვაჟთა შორის კარგად იასპარეზა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა, რომელმაც 3496 ქულა მოაგროვა და დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ადგილზე 2755 ქულით ავტომექანიკური ტექნიკუმის მოსწავლეები გავიდნენ, მესამეზე — კოოპერაციული ტექნიკუმის გუნდი — 2213 ქულა.

ქალთა შორის პირველი ადგილი წილად ხვდათ სამედიცინო სასწავლებლის მოსწავლეებს, რომლებმაც 1928 ქულა მოაგროვეს, მეორე ადგილზე 1708 ქულით კოოპერაციული ტექნიკუმის გუნდი გავიდა, მესამეზე—პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში (ვაჟთა და ქალთა კოლექტივებს შორის) პირველ საქალაქო უნივერსიადაში გაიმარჯვა და გარდამავალი თასი მოიპოვა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა, მეორე ადგილზე კოოპერაციული ტექნიკუმის მოსწავლეები გავიდნენ, მესამეზე — პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლები.

განსაკუთრებული აღნიშვნისა და ქების ღირსია ქუთაისის კოოპერაციული ტექნიკუმის კოლექტივი, რომელმაც გაცილებით დიდ კოლექტივებს გაუსწრო და საპატიო მეორე ადგილი დაიკავა. ამ სასწავლებელში მართლაც დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდა თაობის სპორტში მიზიდვის საქმეს.

რაც შეეხება უნივერსიადის ორგანიზაციულ მხარეს: შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩატარდა. სტუდენტი-ახალგაზრდობა მხოლოდ დასვენების დღეებში ასპარეზობდა და შეჯიბრებას მათთვის ხელი არ შეუშლია სწავლაში. სამწუხაროდ, ამ კომპლექსურმა შეჯიბრებამ ერთხელ კიდევ გამოაშკარავა სტუდენტთა ფიზიკური მომზადების დაბალი დონე და მათი სპორტში მიზიდვის საქმეში ჯერ კიდევ არსებული ხარვეზები. წინა წლებთან შედარებით პოზიციები დათმეს პოლიტექნიკური და ავტომექანიკური ტექნიკუმების კოლექტივებმა, ასევე მეტი მოეთხოვებათ პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს, რადგან მათ ვარჯიშისთვის გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲔᲚᲘ.

ᲛᲝᲙᲠᲐᲫᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲯᲓᲔᲑᲘᲗ

ᲑᲐᲥᲪᲘ სპორტთამაშობათა დარბაზში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში (ჯგუფური ვარჯიში).

პირველ სახეობაში — ჯგუფურ ვარჯიშში 6 ბურთით — საქართველოს ნაკრებმა მე-8 შედეგი აჩვენა 16 გუნდს შორის, ხოლო ვარჯიშში 3 რგოლითა და 3 ზონრით — მე-11. ორჭიდის ჯამში ჩვენი გოგონები (ინგა ჩხაიძე, იზო მთავრიშვილი, თამუნა ქუმსიაშვილი, ევგენია შირინკინა, ხათუნა ქურიძე, ხათუნა აფაქიძე, ლალი სანიკიძე) მეცხრე ადგილზე გავიდნენ.

ამ შეჯიბრების პარალელურად ტარდებოდა ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა ტურნირი „ოლიმპიური იმედი“. უმცროს ასაკში (1974-1976 წწ. დაბადებულნი) ჩვენი რესპუბლიკის სახელს იცავდა 13 წლის მოსწავლე ეკა ცხადაძე. მრავალჭიდში მან მერვე შედეგი აჩვენა, სახტუნელათი მეხუთე იყო, ხოლო ზონრით — მეექვსე.

უფროსი ასაკის (1970-1973 წწ. დაბადებულნი) გოგონათა ტურნირში სხვებთან ერთად ნატო ლეშკაველი (მრავალჭიდში გაიყო მეცხრე-მეთერთმეტე ადგილები) და თინა ნადირაშვილი (მე-15 ადგილი) გამოდიოდნენ.

სამწუხაროდ, ტრავმის გამო ბაქოს სარბიელზე არ ასპარეზობდა ჩვენი წამყვანი ტანმოვარჯიშე ინგა ყიფშიძე.



თბილისის სპორტის სასახლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ერთიანი სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ერთობლივი პროექტი შეიმუშავეს ქართველმა და ბულგარელმა არქიტექტორებმა. პროექტი ახლა განხილვის პროცესშია. ამ დღეებში ბულგარელი არქიტექტორები თბილისს ეწვივნენ.

საქართველოს სპორტსახლოში

გუშინ გაიმართა კოლეგიის მორიგი სხდომა. კოლეგიამ იმსჯელა რესპუბლიკაში აფროხონობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების გზების უზრუნველყოფის საკითხზე. აღინიშნა, რომ ნებაყოფლობითი. სპორტული საზოგადოებების უყურადღებო დამოკიდებულების, სახეობათა-საწვრთნო პროცესისადმი არაპროფესიონალური კონტროლისა და არასრულფასოვანი მატერიალურ-სპორტული ბაზის გამო რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობაში შეიქმნა არასახარბიელო ვითარება. თბილისში აფროხონობა დანერგილია მხოლოდ თბილისის ზღვაზე ქალაქის სპორტკომიტეტის ბაზაზე, სადაც კლუბი ვერ აკმაყოფილებს ელემენტარულ მოთხოვნებსაც კი. სპორტსაზოგადოება „ვოდნიკს“ სოხუმში გახსნილი აქვს სამი კლუბი, მაგრამ გადასაჭრელია მათი კეთილმოწყობისა და მწვრთნელთა კადრებით დაკომპლექტების საკითხი. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ბათუმში, სადაც ამავე საზოგადოების კლუბში 11 ჯგუფი და 6 მწვრთნელი მუშაობს. ფოთში კი „ვოდნიკის“ ბაზა შარშან ნაწილობრივ ჩადგა მწყობრში. აქ ახლა მუშაობს პროფკავშირების ორი ჯგუფი და ერთი მწვრთნელი. კოლეგიაზე დაისვა საკითხი, რომ სპორტის ამ სახეობის მატერიალურ-სპორტული ბაზის განმტკიცებისთვის უფრო უნარიანად უნდა გამოვიყენოთ მსხვილი წარმოება-დაწესებულებების შესაძლებლობები, მივმართოთ სახსრების კოოპერირებას. ახლო მომავალში კი ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის გახსნის საკითხიც უნდა გადაწყდეს. კოლეგიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

კოლეგიის უყურადღების ცენტრში კვლავ რჩება საუოლის ოლიმპიური თამაშებისათვის საქართველოს მოწინავე სპორტსმენთა მზადების საკითხი. ამჯერად მოისმინეს წყალში მხტომელთა მწვრთნელის ი. გუტიაკულოვის ინფორმაცია. ამის შემდეგ კოლეგიის წინაშე წარდგა მისი აღსაზრდელი, ხსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრი გიორგი ჩოგოვაძე.

განიხილეს საკითხი მძლეოსნობაში უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ. კოლეგიამ მკაცრი შეფასება მისცა სკოლის ხელმძღვანელებისა და მთელი კოლექტივის საქმიანობას. ვრცელი მასალა ამ საკითხზე ჩვენს გაზეთში ცოტა გამოქვეყნდება.

რესპუბლიკაში „ასული წელი“ შექმნა და სპორტულ-გაჯანსაღებელი კოოპერატივი. ჩამოყალიბების სტადიაშია კიდევ 7 კოოპერატივი. აღინიშნა, რომ განსაკუთრებით სახურველ ეფექტს იძლევა სასკოლო საცურაო აუზებთან შექმნილი კოოპერატივები. კოოპერატივების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის, დახმარებისა და კონტროლის გაძლიერების უზრუნველსაყოფად კოლეგიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

1988 წელს კვლავ გაგრძელდება სახელმწიფო მიღება ყველა ტიპისა და დაქვემდებარების სპორტულ სკოლებში. კოლეგიამ ცვლილებები შეიტანა სახელმწიფო მიღების ჩატარების სისტემაში.

მოისმინეს ინფორმაცია, 1987 წელს რესპუბლიკის პერსპექტიულ სპორტსმენებთან გაწეული მუშაობის შესახებ. აღინიშნა ამ საქმეში ხელმძღვანელი მუშაკებისა და მწვრთნელების ეფექტიანი მუშაობა, უურადღება გამახვილდა ნაკლოვანებებზე.

კოლეგიამ გუშინდელ სხდომაზე განიხილა აგრეთვე სხვა საკითხები, დაამტკიცა ნომენკლატურული მუშაკები.

სამს ვითვლით, ერთს ვემახსოვრებთ

დასასრული

და. ახალგაზრდა ქუთაისელი მოჭიდავე გიორგი კოღუაშვილი (90 კგ) პირველსავე შეხვედრაში ფავორიტს, გასული წლის მსოფლიო ჩემპიონს ომსკელ ვლადიმერ პოპოვს დაუპირისპირდა. ძალები აშკარად უთანაბრო იყო და პოპოვმა ქულათა სოლიდური მარაგით გაიმარჯვა.

62 კგ წონაში ქუთაისელი ვასილ ონიანის მეტოქე მოსკოველი სპორტის ოსტატი ვალერი პერმინოვი ტიტულების სიუხვით არ გამოირჩეოდა, მაგრამ შესანიშნავად აღმოჩნდა მომზადებული და გასაქანი არ მისცა ჩვენ ფალავანს. ონიანიც ქულებით დამარცხდა.

სამაგიეროდ, სპორტის სასახლეში თავმოყრილი მაყურებლები მომდევნო შეხვედრებმა გაახარეს. გასული წლის მსოფლიო ჩემპიონმა იუნიორთა შორის, ბათუმელმა თენგიზ თედორაძემ თავიდანვე ისე შეუტია მოღლაველ ფედორ ბუზუს, რომ ამ უკანასკნელმა სწრაფად „მოახერხა“ 3 გაფრთხილება მიეღო და მსაჯებმა იგი შეხვედრიდან მოხსნეს. ამ დროს თედორაძის აქტივში უკვე რვა „უპასუხო“ ქულა იყო.

მსოფლიო თასის მფლობელ მარტყოფელ ზაურ ივანაშვილისა და ევროპის ჩემპიონის ვიაჩესლავ ოლეინიკის (ედანოვი) შეხვედრა უფრო თანაბარი ბრძოლით აღინიშნა. პირველი პერიოდის ბოლოს უპირატესობა ჩვენმა მოჭიდავემ მოიპოვა და შეძლო 6 ქულით დაწინაურებულიყო 7:1. ოლეინიკს ბოლო გაბრძოლებამ ნუგეშად მხოლოდ 3 ქულა მოუტანა. 7:4 გაიმარჯვა ზაურ ივანაშვილმა.

მეორე წრეში აქტიურად იჭიდავა ვასილ ონიანმა და ბელორუსიის წარმომადგენელს ედუარდ ავაქიანს დაუყრევინა ფარ-ხმალი — 9:1. 62 კგ წონით კატეგორიაში ორი გამარჯვება მოიპოვა მოსკოველმა პერმინოვმა. სამწუხაროდ, შეჯიბრებას გამოეთიშა გიორგი კოღუაშვილი (90 კგ), რომელიც მეორე წრეში (ოღონდ წმინდად) დამარცხდა მოსკოველ ვიაჩესლავ პანასიუკთან.

ამავე, 90 კგ წონით კატეგორიაში მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს თენგიზ თედორაძემ და ზაურ ივანაშვილმა. თუ ეს თედორაძემ ტაშკენტელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ალექსანდრე პავლოვის შეუპოვარი წინააღმდეგობის დაძლევის ფასად მოახერხა — 3:2, ივანაშვილის საქმე უკეთესად იყო. იგორ კნიაზევთან (სიმფეროპოლი) შეხვედრის ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს — 16:1. სხვათა შორის, როდესაც ანგარიში 14:1 იყო, კნიაზევს მესამე გაფრთხილება მიჰცეს, მაგრამ ივანაშვილმა შეხვედრის გაგრძელება მოისურვა (წესი ამის უფლებას იძლევა) და წმინდა გამარჯვებით დამთავრა ორთაბრძოლა.

ამავე წონაში მეორე გამარჯვება მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონმა ვლადიმერ პოპოვმაც.

გიორგი ჩოჩიშვილი.

გუშინ საღამოს მე-3 წრის შეხვედრები გაიმართა. ვასილ ონიანი თავისუფალი იყო შეჯიბრებიდან და ხალიჩაზე მესამედ გამოსვლა მხოლოდ თენგიზ თედორაძესა და ზაურ ივანაშვილს მოუწიათ. თედორაძემ სარანსკელ რავილ იბრაგიმოვთან შეხვედრის დასაწყისში ლამაზი კისრულით სამი ქულა მოიპოვა, ხოლო პერიოდის ბოლოს მისი მეტოქე გონგმა გადაარჩინა წმინდა დამარცხებას. ბრძოლის ხასიათი არც მეორე პერიოდში შეცვლილა და თენგიზ თედორაძემ მესამე გამარჯვება იზეიმა — 12:4.

ივანაშვილისა და ულიანოვსკელ პაველ პოტაპოვის შერკინება პასიურად მიმდინარეობდა და სტუმრის გამარჯვებით დამთავრდა — მან მხოლოდ ერთადერთი მომგებიანი ქულის აღება მოახერხა.

• • •

გათამაშდა სპორტული ლატარეა. ავტომანქანა „ეიგული“ წილად ხვდა ახმეტელ გულშემატკივარს ნუგზარ ჩახტაურს.

ორიოდე თვის წინ დამთავრდა წყალბურთელთა 43-ე საკავშირო ჩემპიონატი. გამარჯვება შარშანდელ მარათონულ ტურნირში მოსკოვის დინამოელებს ხვდათ, უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება კი მინსკის არმიელებმა მოიპოვეს.

ხსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

ჩემპიონატის სტარტზე

ხარკოვი. პირველი ტურის სამი შეხვედრიდან ორი ფრედ დამთავრდა, რაც სასტარტო ბრძოლების დაძაბულობაზე მეტყველებს. თბილისის „დინამოს“ მეტოქე პირველ მატჩში მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი იყო. ორი პერიოდის შემდეგ მოსკოველები დაწინაურდნენ, მესამე პერიოდში დინამოელებმა გაათანაბრეს ანგარიში, მეოთხე კი ფრედ დამთავრდა. შეხვედრის საბოლოო შედეგი 7:7 (2:1, 1:3, 2:1, 2:2).

უძლიერესი ვერ გამოვლინდა ლვოვის „დინამოსა“ და ხარკოვის „ლოკომოტივის“ შეხვედრაშიც, მეტოქეებმა აქაც ქულები თანაბრად გაიყვეს — 8:8 (2:4, 4:1, 1:2, 1:1).

საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა მოსკოვის „დინამომ“ სტარტი წარმატებით აიღო: დამარცხა „მოსკვიჩი“ 9:7 (2:0, 4:2, 2:1, 1:4).

ალმა-ათა. მოულოდნელობა არც ამ ჯგუფში მომხდარა. ფავორიტებმა სატურნირო ცხრილში პირველი ქულები ჩაიწერეს: „დინამო“ (ალმა-ათა) — ასკ (მინსკი) 13:6 (4:0, 2:2, 3:2, 4:2), ცსკ ვმფ — „დინამო“ (კიევი) 8:7 (2:1, 1:2, 2:1, 3:3), კკფ (ბაქო) — კჩფ (სევასტოპოლი) 10:10 (3:1, 2:1, 2:4, 3:4).

პრეტენდენტები იწყებენ

ეს-ეესა დამთავრდა მატჩი ჰადრაკში მსოფლიო პირველობაზე, პრეტენდენტები კი სულ მალე დაიწყებენ ბრძოლას 1990 წელს მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის უფლების მოსაპოვებლად. დაწყვილებული 14 პრეტენდენტი 24 იანვარს შეუდგება თამაშს სენტ-ჯონსში (კანადა) — ისინი მოკლე, სულ ექვსექვსი პარტიისგან შემდგარ მატჩებს გამართავენ. ეს მათი „მერვედფინალური“ შეჯიბრება იქნება.

გაგაცნობთ ამ „დუეტებს“: ანდრეი სოკოლოვი — კევინ სპრაგეტი (კანადა), არტურ იუსუპოვი — იან ელვესტი, იან ტიმანი (ჰოლანდია) — ვალერი სალოვი, ლაიოშ პორტიში (უნგრეთი) — რაფაელ ვაჰანიანი, ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) — იოჰან პიარტარსონი (ირლანდია), ნაიჯელ შორტი (ინგლისი) — დიულა საქსი (უნგრეთი) და იასერ სეირავანი (აშშ) — ჯონათან სპილმენი (ინგლისი).

საინტერესოა, რომ პრეტენდენტთა მატჩები დიდი საჰადრაკო ფესტივალის ჩარჩოებში ჩატარდება, რომლის პროგრამაშია აგრეთვე 2 საერთაშორისო ტურნირი, 2 ღია ტურნირი, რომლებშიც ნებისმიერი რანგის მოჭადრაკეს შეუძლია ითამაშოს, კანადის უძლიერეს მოჭადრაკეთა შეხვედრები და მსოფლიო ჩემპიონატი ბლიცში ფიდე-ს ეგიდით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ გარი კასპაროვი, ანატოლი კარპოვი და კიდევ ბევრი ცნობილი დიდოსტატი.

პრეტენდენტთა შეჯიბრებაში გამარჯვებულ შვიდ მოჭადრაკეს შეუერთდება ანატოლი კარპოვი. რვა პრეტენდენტი კვლავ დაწყვილდება და იმავე ოლიმპიური სისტემით ისინი „მეოთხედფინალურ“ მატჩებს გამართავენ.

ოლიმპიელთა პირველი სინჯი

„ბაკურიანის თასზე“

დაწყებული 1956 წლიდან ბაკურიანი საბჭოთა ოლიმპიური გუნდების მზადების ერთ-ერთ ცენტრად იქცა. ამჟამადაც აქ არიან ქვეყნის საუკეთესო მოთხილამურენი: მრბოლელები, ბიატლონისტები და ორჭიდელები, რომლებიც კალგარის თეთრი ოლიმპიადისათვის ემზადებიან.

მრბოლელებმა უკვე გამართეს პირველი შეჯიბრება — ტრადიციული ტურნირი „ბაკურიანის თასზე“, რომელიც ამჯერადაც ეგრეთ წოდებულ „იმერლების ველზე“ ჩატარდა.

სტარტზე ჯერ ქალები გამოვიდნენ — 3X5 კილომეტრზე ამანათრბეწში. პირველ ადგილზე გავიდა სამეული ქვეყნის მეორე ნაკრებიდან: მოსკოველი სვეტლანა ნაგეიტინა, სიქტივკარელი რაისა სმეტანინა და იეევსკელი ტამარა ტიხონოვა. გამარჯვებულთა შედეგი 52 წუთი და 03 წამი. ფინიშზე მეორე იყო სსრ კავშირის პირველი გუნდი: კალინინგრადელი ანტონინა ორდინა, ვილნიუსელი ლიდია ვენცენე და მინსკელი სვეტლანა კამოცკაია — 52.39, მესამე — ქვეყნის მესამე ნაკრები: ტომსკელი ლიუბოვ ეგოროვა, მოსკოველი ანფისა რეზცოვა და პეტროზავოდსკელი ლარისა პტიცინა — 53.40. ეტაპზე ამ დღეს საუკეთესო შედეგი ჰქონდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ა. რეზცოვას — 16.49.

ვაჟები ასპარეზობდნენ 3X10 კილომეტრზე ამანათრბეწში. გაიმარჯვა ქვეყნის პირველმა ნაკრებმა: მოსკოველმა იური ბურლაკოვმა, ალმაათელმა ვლადიმერ სახნოვმა და ვლადიმირელმა ალექსანდრ პროკუროროვმა — 1.31,06. მეორე ადგილზეა ქვეყნის მეორე ნაკრები: ჩერნიგოველი ალექსანდრე ბატიუკი, სუმელი ალექსანდრე უშკალენკო და ალმაათელი ვლადიმერ სმირნოვი — 1.32,03. მესამე შედეგი აქვს ქვეყნის მესამე ნაკრებს: კუსტანაელი ალექსეი ტურჩინი, პერმელი მიხეილ დევიატიაროვი და ვიტებსკელი ვასილი გორბაჩოვი — 1.33,03. ეტაპი ყველაზე სწრაფად გაირბინა ვ. სმირნოვმა — 30.04.

აი, რა გვითხრა სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ვიქტორ ივანოვმა:

— შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული, ამინდიც ჩინებული გახლდათ, რაიონული ხელმძღვანელობაც ყოველნაირად გვიწყობს ხელს. შედეგებითაც კმაყოფილი ვარ. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი ოლიმპიელები თავს არ შეიკავებენენ კალგარის დიდ სტარტზე.

23 იანვარს მოთხილამურე მრბოლელები ბაკურიანში ქვეყნის ჩემპიონატს გამართავენ: ქალები 10-კილომეტრიან დისტანციაზე იასპარეზებენ, ვაჟები — 30 კილომეტრზე. 25 იანვარს აქვე გაიმართება სსრ კავშირის თასის გათამაშება: ქალები — 5 კმ, ვაჟები — 15 კმ. 28 იანვარს ქალები 20, ვაჟები კი 50 კილომეტრზე რბოლაში იასპარეზებენ.

სოფიკო ხეთაგაშვილი,
„ლელოს“ კორ.

ბაკურიანი.

ბეზანეინში (თურქმენეთის სსრ) გაიმართა 1978 წელს დაბადებულ მოსწავლე ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო მოკავშირე რესპუბლიკების 14 კოლექტივმა. საქართველოს დარხებას ამ შეჯიბრებაში თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის, „ნორჩი დინამოელისა“ და ჭუთაისის სკოლის აღსაზრდელები იცავდნენ. კარგად ჩაატარეს მთელი ტურნირი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. მათ ყველა შეხვედრაში გაიმარჯვეს და ამ მეტად პრესტიჟულ ტურნირში I ადგილი დაიკავეს. 14 გატანილი ბურთისთვის საუკეთესო ბომბარდირის პრიზი გადაეცა ჩვენს თავდამსხმელს ვ. ღუდუშაურს. გუნდი შეჯიბრებისთვის მომზადეს ნ. დოლიძემ (მწვრთნელი) და გ. მუმლაძემ (გუნდის უფროსი).

სურათზე: ტურნირში გამარჯვებული საქართველოს ნაკრები გუნდი.

გია ახალაძის ფოტო.

ჭადრაკში მსოფლიო პრიველობისკენ
პრეტენდენტ ალეხინის ტურნირის მონაწილენი

ელენა ახმილოვსკაია

დასასრული

წილეობა მიიღო იაიცეს (იუგოსლავია) ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. აქ I ადგილზე ირინა ლევიტინა გავიდა (8 ქულა 12-დან), ახმილოვსკაიამ კი 7,5 ქულით II-III ადგილები გაიყო ჟუჟა ვერეცი-პეტრონიჩთან.

უფრო საინტერესო იყო თბილისის საერთაშორისო ტურნირი, რომელიც აპრილში გაიმართა. აქ ახმილოვსკაია I ადგილის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად ითვლებოდა, მაგრამ შეუპოვარ ბრძოლაში მეტი მიზანსწრაფვა გამოიჩინა ქეთევან არახამიამ, რომელმაც ყველას გაუსწრო კიდეც (9,5 ქულა 11 შესაძლებლიდან), ახმილოვსკაია გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა და II ადგილზე გავიდა.

ზაფხულში ახმილოვსკაიამ უნგრეთის საერთაშორისო ტურნირში ითამაშა ქეთევან კახიანთან ერთად, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდოსტატი I ადგილზე გავიდა (8 ქულა 13 შესაძლებლიდან). ერთადერთი დამარცხება მან თავის ნორჩ თანამემამულესთან განიცადა. სხვათა შორის, ქეთუვანმა ამ შეჯიბრებაში შეასრულა საერთაშორისო ოსტატის პირველი ბალი.

სექტემბერში თბილისელმა დიდოსტატმა სოჭის ტრადიციულ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი აქაც I ადგილის ძირითად პრეტენდენტად ითვლებოდა, მაგრამ გამარჯვება ახალგაზრდა ოსტატ იულია დიომინას ხვდა (9,5 ქულა 13 შესაძლებლიდან). ახმილოვსკაია 9 ქულით II ადგილზე გავიდა.

და აი, შარშანდელი წლის ყველაზე ძლიერი (ახმილოვსკაიასთვის) შეჯიბრება — საბჭოთა კავშირის 47-ე ჩემპიონატი, რომელსაც ოქტომბერ-ნოემბერში ასეთი ინტერესით ადევნებდნენ თვალს თბილისელები. 20 მონაწილეს შორის მსოფლიო ჩემპიონობის ოთხი პრეტენდენტი იყო, თვით ახმილოვსკაიას ჩათვლით. ელენამ სამ პრეტენდენტს მოუგო და ტურნირიც ძალიან კარგად ჩაატარა: 19 შესაძლებლიდან 13,5 ქულით (+10—2=7) II ადგილზე გავიდა.

მაშ ასე, ხუთი შეჯიბრებიდან ერთი პირველი პრიზი და ოთხი მეორე. ეს ახმილოვსკაიას მეტად თანაბარ თამაშზე მეტყველებს. მას მკაცრი პოზიციური სტილი აქვს. დებიუტში, უპირველეს ყოვლისა, მტკიცე მდგომარეობის მიღებას ცდილობს, შემდეგ კი ნელ-ნელა, თანდათანობით ცდილობს მეტოქე თავის მარწუხებში მოაქციოს. თუ მიტელშპილში ახმილოვსკაია ინიციატივას ფლობს, მოწინააღმდეგე უთუოდ დიდი პრობლემების წინაშე დადგება. უარეს პოზიციას იგი მეტად შეუპოვრად, დიდი გულმოდგინებით იცავს. უარესად გამოიყურება იგი ე. წ. ირაციონალურ პოზიციებში, როცა დაფაზე ათასგვარი ტაქტიკური, კომბინაციური შესაძლებლობები იქმნება.

ერთი სიტყვით, ახმილოვსკაია, რომელიც მრავალმხრივ მომზადებული, ჩინებული ტექნიკის მქონე მოჭადრაკეა, და ამასთან, მეტად მტკიცე ნერვებიც აქვს, პრეტენდენტთა ტურნირში ყველასთვის საშიში მეტოქე იქნება. ასეთ შეჯიბრებებში, როცა ფაქტობრივად ფაი მხოლოდ I ადგილს აქვს, როგორც წესი, მეტად ნერვიული ვითარება იქმნება. როგორც მალმეს ასპარეზობამ გვიჩვენა, ეს დაძაბულობა მაშინ ახმილოვსკაიამ სხვებზე უკეთ გადაიტანა. თუმცა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ წყალტუბოს ტურნირის შემადგენლობა აშკარად აღემატება მალმესას (იქ არც ნონა გაფრინდაშვილი ყოფილა და არც ნანა იოსელიანი). ერთი სიტყვით, ვნახოთ, რას გვიჩვენებს ხვალინდელი დღე.

ახმილოვსკაიას რეიტინგია 2400. ეს ახლა მსოფლიოში მეცხრე მაჩვენებელია.

ნიკი ლაუდა

„ფორმულა-1“-ის ავტომობილებით რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიის მანძილზე სულ 21 ავტომრბოლმა იზეიმა გამარჯვება. მათ შორის ჯერჯერობით მხოლოდ ერთია ხუთგზის პრიზიორი— არგენტინელი ხუან მანუელ ფანხიო. სამგზის ლაურეატები ერიან ავსტრიელი ჯეკ ბრაბემი, ინგლისელი ჯეკი სტიუარტი, ბრაზილიელი ნელსონ პიკე და ავსტრიელი ნიკი ლაუდა.

ამჯერად ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელზე გვინდა გესაუბროთ.

ნიკი ლაუდა დაიბადა 1949 წლის 22 თებერვალს ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში.

მისი ოცნება „ფორმულა-1“-ის ავტომობილებით რბოლები იყო. 1970 წელს იგი „ფორმულა-3“-ის ავტომობილის საჭეს მიუჯდა, მაგრამ პირველსავე საწვრთნელ რბოლაში კატასტროფაში მოჰყვა. შემდეგ ლაუდა „ფორმულა-2“-ის რბოლაში მონაწილეობს. მას პარტნიორობას უწევდა სახელგანთქმული შვედი სპორტსმენი რონი პეტერსონი, რომელიც 1978 წელს იტალიაში, მონცის ავტოდრომზე რბოლის დროს დაიღუპა. სწორედ პეტერსონის დახმარებით დაეუფლა ნიკი ლაუდა ავტომობილის მართვის უზადო ტექნიკას.

მალე მას მეორე პილოტად იწვევს თვით ენცო ფერარი.

მას შემდეგ, რაც 1970 წელს ტრაგიკულად დაიღუპა მსოფლიოს ჩემპიონი იოჰენ რინდტი, ავსტრიელ გულშემატკივრებს სხვა არაფერი დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ მთელი თავიანთი იმედები მეორე თანამემამულეზე, ჯერ კიდევ ყველასთვის უცნობ ახალგაზრდა სპორტსმენ ნიკი ლაუდაზე დაემყარებინათ.

ლაუდას დებიუტი „ფორმულა-1“-ის ავტომობილებით რბოლაში 1973 წელს შედგა ბელგიაში, ცოლდერის ტრასაზე, სადაც მან მეხუთე ადგილი დაიკავა.

1974 წელს ნიკი ლაუდამ პირველი დიდი გამარჯვება იზეიმა. მან მოიპოვა „ესპანეთის დიდი პრიზი“. შემდეგ ჰოლანდიაშიც იმარჯვა და საბოლოოდ ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა.

1975 წელს, როცა არგენტინის „დიდი პრიზი“ ბრაზილიელმა ემერსონ ფიტიფალდიმ მოიგო, ყველას ეგონა, რომ იგი იმ წელიწადს არავის დაუთმობდა პირველობას, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. ხუთიდან ზედიზედ ოთხი გამარჯვებით ნიკი ლაუდამ სპეციალისტები დაარწმუნა, რომ იმ წელიწადს მისი დამმარცხებელი არავინ იყო.

ბოლო ეტაპი ამერიკის შეერთებულ შტატებში, „უოტკინს გლენის“ ტრასაზე ტარდებოდა. ლაუდამ აქაც დაამტკიცა თავისი უპირატესობა და საბოლოოდ 26 წლის ავსტრიელმა სპორტსმენმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ეს გამარჯვება „ფერარის“ ფირმის გამარჯვებად იქცა — კონსტრუქტორთა პირველობაზე იგი ჩემპიონი გახდა. სულ რაღაც ორიოდე წლის შემდეგ ნიკი კვლავ პირველი იყო. მანამდე, 1976 წელს, მან დიდი განსაცდელი გადაიტანა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „დიდი პრიზის“ გათამაშებამდე ლაუდამ ოთხჯერ იზეიმა გამარჯვება და კვლავ ლიდერობდა ჩემპიონატში, მაგრამ ნიურნბერგის ტრასაზე მისი ავტომობილი აფეთქდა და ავსტრიელი სპორტსმენი ძლივს გადაურჩა დაღუპვას. ალმოდებული ავტომობილიდან ლაუდა თვით ავტომრბოლებმა ამოიყვანეს.

ორმოცი დღის შემდეგ ნიკი კვლავ მიუჯდა „ფერარის“ საჭეს. მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ეტაპამდე ლაუდა მაინც ინარჩუნებდა ლიდერის პოზიციას, 3 ქულით უსწრებდა ინგლისელ ჯეიმს ჰანტს. ყველაფერი გადაწყდა იაპონიის „დიდი პრიზის“ გათამაშებისას. ავსტრიელი ავტომრბოლი წვიმიანი ამინდის გამო პირველივე წრეზე გამოეთიშა ასპარეზობას და მსოფლიო ჩემპიონობა ჰანტს დაუთმო. ამ შემთხვევის შემდეგ ჟურნალისტებმა ნიკის „მშიშარა“ უწოდეს, მაგრამ მათ შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც ამართლებდნენ სპორტსმენის ასეთ გადაწყვეტილებას.

გუნდში ვითარება დაიძაბა. ენცო ფერარიმ გადაწყვიტა ლაუდას მოშორება, მაგრამ შემდეგ სეზონში ავსტრიელმა სპორტსმენმა დაამტკიცა, რომ მისი ჩამოწერა ჯერ კიდევ ადრე იყო. იგი მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი და... განაცხადა, „ბრაბემის“ გუნდში გადავდივარო.

ახალი ავტომობილით ლაუდა სუსტად ასპარეზობდა. მან მხოლოდ ერთი „დიდი პრიზის“ მოპოვება შეძლო შვეიცარიაში და გადაწყვიტა მიეტოვებინა სპორტი.

ავსტრიელმა სპორტსმენმა შექმნა საკუთარი საავიაციო ფირმა „ლაუდა ეარი“, მაგრამ ცოტა ხანში მას უკვე გაკოტრება ემუქრებოდა და, ეს რომ არ მომხდარიყო, იძულებული გახდა კვლავ დაბრუნებოდა საყვარელ სპორტს. მან ხელი მოაწერა კონტრაქტს „მაკლარენთან“ და მიღებული თანხით საავიაციო ფირმა გადაარჩინა.

1984 წელს ნიკი ლაუდამ და მისმა თანაგუნდელმა, ფრანგმა ალენ პროსტმა 16-დან 12 ეტაპზე გაიმარჯვეს და ავსტრიელი ავტომრბოლი მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

ახლა მან უკვე საბოლოოდ გადაწყვიტა სპორტთან განშორება. 1986 წლიდან ლაუდა „ბრაბემის“ ფირმის მრჩეველია. დაგვეთანხმებით, რომ ასეთ დიდ სპორტსმენს საკმაოდ უცნაური თანამდებობა უკავია.

ნიკი ლაუდა 12 წლის განმავლობაში ასპარეზობდა. ამ პერიოდში იგი სამჯერ გახდა ჩემპიონი, მოიპოვა 25 „დიდი პრიზი“, 1977 წელს კი ჟურნალისტებმა მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს.

დავით ჩუბინიძე.

ოლიმპიური კალეიდოსკოპი

დასავლეთგერმანელი მოციგური მონიკა ჰოლცნერ-გევენიუს-პფლიუჩი მეხუთე ოლიმპიადაში გამოვა. 32 წლის მონიკამ, რომელსაც სამი შვილი ჰყავს, პირველად საპოროს ოლიმპიადაში სცადა ძალა 1972 წელს და ოქროს მედალი მოიპოვა.

ვინ უნდა იყოს ოლიმპიური ტრასების მეკვლე? ცხადია ის სპორტსმენი, რომელიც სლალომსა და სწრაფდაშვებაში მუდამ მაღალი ტექნიკით გამოირჩეოდა. სწორედ ამ მიზნით მიიწვიეს ოლიმპიური ტრასების გასასინჯად კანადელი კენ რიდი და ოლიმპიური ჩემპიონი, შვეიცარიელი ბერნარ რიუსი.

ახალი ზელანდიის სპორტის ისტორიაში პირველად ზამთრის ოლიმპიადაში გამოვა ამ ქვეყნის ცხრა წარმომადგენელი. გუნდი უმთავრესად მოთხილამურეებითა და ბობსლეისტებით იქნება დაკომპლექტებული.

მსოფლიოს ექსჩემპიონს ფიგურულ ციგურაობაში ბოიტანოს (აშშ) განზრახული აქვს დაამარცხოს მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი კანადელი ორსერი. ამაში მე დამეხმარება ხტომა ოთხმაგი ბრუნით, განაცხადა ბოიტანომ.

აშშ-ს ბიატლონისტები კალგარის ოლიმპიადაში ახალი ტიპის შაშხანებით იასპარეზებენ, თვითონ ამერიკელები საიდუმლოს ჯერ-ჯერობით არ ამჟღავნებენ, თუმცა ამ ცნობას ბოლომდე არც უარყოფენ.

შვეიცარიელი სამთომოთხილამურეები, რომლებსაც ოლიმპიური მედლების მთავარ პრეტენდენტებად თვლიან წლის დასაწყისიდან ახალ რეჟიმზე გადავიდნენ. ვინაიდან დროის სხვაობა კალგარისა და შვეიცარიას შორის საკმაოდ დიდია, ისინი ღამით ვარჯიშობენ, დღისით კი ისვენებენ.

კანადის სპორტის მინისტრი ოტო ჯელინეკი, რომელიც 1962 წელს მსოფლიო ჩემპიონი იყო ფიგურულ ციგურაობაში (სპორტულ წყვილებში) კვლავ გამოვა ყინულის სარბილზე, ოღონდ როგორც ოფიციალური წარმომადგენელი. იგი მონაწილეობას მიიღებს ოლიმპიადის საზეიმო გახსნაში.

ავსტრიელი ორჭიდელი — წლევანდელი სპორტული სეზონის ლიდერი კლაუს ზულცენვაჰერი საოცრად მშვიდი კაცია. კალგარიში გამგზავრებამდე მას მრავალი პრობლემის გადაჭრა მოუხდა, მაგრამ წონასწორობიდან არ გამოსულა. სამაგიეროდ, ამბობს იგი, ჩემი მეტოქეები ბევრს ნერვიულობენ, რაც მე, რა დაგმალოთ და ხელს მაძლევს.

ფინელი ჟურნალისტების აზრით ცნობილმა ტრამპლინიდან მხტომელმა მატი ნიუკანენმა კალგარიში ერთი ოქროს მედალი მაინც უნდა მოიპოვოს. ფინეთის ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი მატი პული იზიარებს ამ მოსაზრებას, თანაც დასძენს, რომ დიდ იმედებს ამყარებს 19 წლის არი-პეკუ ნიკოლუზეც, რომელსაც 21-ე საუკუნის მხტომელად თვლის.

იაპონურ სატელევიზიო კომპანიას „ენ-ეიჩ-კეის“ განზრახული აქვს აჩვენოს ოლიმპიური სერიალები რუბრიკით „იმედები“. პირველი სიუჟეტის გმირები (ნობილი მოციგურე კარინ კანია ენკე და ფიგურისტი კატარინა ვიტი (ორივე — გდრ) იქნებიან.

ავსტრიის სამთო-მოთხილამურეთა ნაკრებს, ბოლო დროს, ბედი არ სწყალობს. ერვინ რეშის შემდეგ ტრავმა მიიღო და კალგარიში ვერ გაემგზავრება შტეფან ნიდერზეერი, რომელიც სწრაფდაშვებაში უნდა გამოსულიყო.

შვეიცარიელმა მოთხილამურეებმა საწვრთნელი შეკრება დავოსში ჩაატარეს. აქვე მოეწყო შერჩევითი შეჯიბრება, რომელშიც სუსტად გამოვიდნენ მორბენლები. ამის მიუხედავად ნაკრების ნორვეგიელი მწვრთნელი ტორუ გულენი ოპტიმისტურადაა განწყობილი.

საწინააღმდეგო განწყობით მიემგზავრება კალგარიში იაპონიის მფრინავ მოთხილამურეთა გუნდი, რომელმაც ვერაფრით გამოიჩინა თავი „ოთხი ტრამპლინის ტურნირში“. ჩვენ, განაცხადა სათხილამურო ფედერაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა იასუხირო იაგიმ, ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია მსოფლიო ელიტაში მოსახვედრად.

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით კალგარიში სწრაფდაშვების მონაწილენი სტარტს ორწუთიანი ინტერვალით მიიღებენ (ადრე ინტერვალი ნახევარ წუთს შეადგენდა). ეს იმას ნიშნავს, რომ შეჯიბრების ხანგრძლივობა ერთისამად გაიზრდება.

ფეხბურთი - ევროპა



რომი. ლილიან რონკეტის თასის გათამაშებაში კიევის „დინამოს“ კალათბურთელ ქალთა კოლექტივმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა — დაამარცხა „ტროგილოსის“ კლუბი ანგარიშით 80:77 (32:46).

კარაკასი. ვენესუელის მრავალდღიანი ველოსრბოლა „ტაჩირა“ ლენინგრადელმა ვიაჩესლავ ეკიმოვმა მოიგო. 1000 კილომეტრიანი დისტანცია მან 31 საათში 25 წუთსა და 8 წამში დაფარა. მეორე და მესამე ადგილებზე გასულებმა ლუის ბაროსმ და მარიო შედინამ (ორივე — ვენესუელა) გამარჯვებულთან წუთზე მეტი წააგეს.

ტორონტო. აქ გაიმართა კანადისა და აშშ-ს ჰოკეისტთა ოლიმპიური ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი. გამარჯვება კანადელებმა მოიპოვეს — 6:5. ყველაზე შედეგიანი მოთამაშე კანადელი შრაიბერი იყო, რომელმაც მეტოქის კარში სამი შაიბა გაიტანა.

ციხეზერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 21 იანვარი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** ჯანმრთელი რომ იყო — **19.35 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **19.35 (2).**

22 იანვარი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** ჯანმრთელი რომ იყო — **19.15 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში — **21.30 (2),** საერთაშორისო ტურნირი ფარიკაობაში „მოსკოვის ხმალი“ — **24.00 (2).**

საქართველოს ტელევიზია. 22 იანვარი. სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში — **21.35.**

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

საქართველოს სპორტსახკომი და „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ სპორტსახკომის განყოფილების გამგეს გივი ცქიტიშვილს მეუღლის

ლია ვასილის ასულ
კვანტალიანი-ცქიტიშვილის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05140